დანართი
დამტკიცებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
კანცლერის 2018 წლის --- სექტემბრის # 01--- ბრძანებით

კავკასიის ბიზნეს ინკუბატორის პროგრამის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) **ბიზნეს ინკუბატორი** წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. ბიზნეს ინკუბატორი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდების, დებულების, სხვა ნორმატიული აქტების და ამ დებულების შესაბამისად.
3. ბიზნეს ინკუბატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, უნივერსიტეტის კანცლერის/რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ბიზნეს ინკუბატორის მიზანი და ფუნქციები

1. ბიზნეს ინკუბატორი არის ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შექმნილი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ფაკულტეტზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.
2. ბიზნეს ინკუბატორში ყოველწლიურად ჩაირიცხება 4-7 გუნდი კონკურსის საფუძველზე და 6 თვის განმავლობაში უნივერსიტეტი შესთავაზებს მათ სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ აქტივობებს, ტრენინგებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს, პრეზენტაციებს, საჯარო ლექციებს, მენტორობას და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ინკუბაციის პროცესი დაიყოფა 3 ეტაპად. ყოველი ეტაპის ბოლოს მოხდება შედეგების გაანალიზება და წარმატებული გუნდების გადაყვანა მომდევნო ეტაპზე. ბოლო ეტაპამდე მისული გუნდები წარდგებიან კომისიის და მოწვეული სტუმრების წინაშე, და შეირჩევა გამარჯვებული გუნდი.
3. ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობის დაფინანსება ხორციელდება:
   ა) უნივერსიტეტის შიდა დაფინანსებით;
   გ) გრანტებითა და პროექტების სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი თანადაფინანსებით;
   დ) შემოწირულებებით;

მუხლი 3. ბიზნეს ინკუბატორის შემადგენლობა

1. ბიზნეს ინკუბატორის შემადგენლობაში შედიან:
   ა) ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელი;
   დ) სპეციალისტები;
2. ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელი:
   ა) განსაზღვრავს ბიზნეს ინკუბატორის სტრატეგიას;
   ბ) ხელმძღვანელობს ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობას და პასუხისმგებელია მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე;
   გ) ბიზნეს ინკუბატორის შემადგენლობაში შემავალ თანამშრომლებს უნაწილებს სამსახურებრივ დავალებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;
   დ) ადგენს ბიზნეს ინკუბატორის მიერ ორგანიზებული აქტივობების შინაარსს და კონცეფციას;
   ე) ამყარებს საქმიან კონტაქტებს პარტნიორებთან სასწავლო, კვლევითი და სამეცნიერო პროექტების განვითარების კუთხით;
   ვ) წარადგენს ბიზნეს ინკუბატორის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ზ) შუამდგომლობს უნივერსიტეტის კანცლერის წინაშე ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფის შესახებ;

3. სპეციალისტი:

   ა) ახორციელებს ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ სამუშაოებს;

   ბ) მართავს ბიზნეს ინკუბატორის ელექტრონულ ფოსტას;

   გ) ახდენს კორესპონდენციის სორტირებას;

   დ) ბიზნეს ინკუბატორის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებლად მონაწილეობას იღებს გამოკითხვის პროცესში;

   ე) ბიზნეს ინკუბატორის მიმდინარე საქმიანობიდან გამომდინარე ახდენს ინფორმაციის შეგროვებას და კომუნიკაცია აქვს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

   ვ) ასრულებს სხვა დავალებებს, რომლებიც გამომდინარეობს ბიზნეს ინკუბატორის ფუნქციებიდან;

4. ბიზნეს ინკუბატორის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

   ა) ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელი:
   - უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   - მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
   - მენტორობის (მეწარმეებთან და სტარტაპებთან) არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;
   - პროექტების მართვის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
   - საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
   - უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნა;
   - ეფექტიანი კომუნიკაციის უნარები;
   - ორგანიზატორული უნარები;

   ბ) სპეციალისტი:
   - უმაღლესი განათლება ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი;
   - საოფისე პროგრამების სამომხმარებლო დონეზე ცოდნა;
   - ინგლისური ენის ან სხვა უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა;
   - გუნდური მუშაობის უნარი.
   - პროექტის შინაარსიდან გამომდინარე პროექტების კოორდინატორისთვის შესაძლებელია დაწესდეს კონკრეტული მიმართულებ(ებ)ით კვალიფიკაცია ან უნარები.

5. ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის კანცლერი. ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მის მოვალეობას ასრულებს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

6. ბიზნეს ინკუბატორის ხელმძღვანელთან შეთანხმებით პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კანცლერი.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ბიზნეს ინკუბატორის დებულებას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის კანცლერი.
2. ამ დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანებით.